572
1949/2

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო."

ეროვნული ბიბლიოთეკა

572/2
57

1949 № 1

დილა

№ 1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲭᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲮᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲗᲕᲘᲡ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
1949

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ გაახარეო“.

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიდი ლენინი

მეოთხედი საუკუნე —
ოცდახუთი წელი
აღარა გვყავს ბრძენთა-ბრძენი,
მთის არწივი — ლენინ,
მაინც ვამბობთ: ჩვენთანაა
ჩვენი მზე და მხსნელი!

გაიზრდები და გაიგებ
ყრმაო, პაწაწინავ:
გმირმა ცეცხლი ოქტომბრისა
როგორ გააჩინა,
ბორკილები დაამსხვრია
და მზე გააბრწყინა!

გაიზრდები და გაიგებ
ბედნიერი ბავშვი,
თუ სტალინი დიად ლენინს
როგორ ედგა მხარში,
როგორ დასდო მის დროშასთან
ფიცი დაურღვევი
და არასდროს დაუხრია
დროშა შუქთა მფრქვევი!

გაიზარდე ყრმაო მალე
და გახსოვდეს მარად,
რაც ლენინმა დაგვიბარა:
— სწავლა, სწავლა, სწავლა!

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ



ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲒᲝᲠᲙᲐᲨᲘ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ ი. ლ ე ნ ი ნ ი დ ა ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

საქართველოს სახ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

(ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევიდან)

ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი (ლენინი)—ბოლშევიზმისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი—დაიბადა 1870 წლის 10 (22) აპრილს ვოლგისპირა ქალაქ სიმბირსკში (ახლა ულიანოვსკი).

ლენინი მკვირცხლი, ნიჭით უსვად დაჯილდოვებული ბავშვი იზრდებოდა. ის ხუთი წლისა იყო, როცა უკვე კითხვა ისწავლა. ცხრა წლის შევიდა სიმბირსკის გიმნასიის პირველ კლასში. თავისი განსაკუთრებული ნიჭისა და მეცადინეობისადმი სერიოზული დამოკიდებულების მეოხებით, იგი საუცხოოდ სწავლობდა და კლასიდან კლასში პირველი სარისხის ჯილდოთი გადადიოდა. გიმნასია რომ დაასრულა, მან კარგად იცოდა ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული ენები. ვლადიმერ ილიას-მემ ასევე კარგად იცოდა აგრეთვე ისტორია და ლიტერატურა. იგი განსაკუთრებით აფასებდა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, რომელთა გმირებიც მტკიცე და შეუდრეკელი სასიათით იყვნენ აღჭურვილნი.

ლენინმა თავისი ბავშვობა და ერმობა გაატარა პოვოლჟიეში—სიმბირსკის, ყაზანისა და სამარის გუბერნიებში. აქ იგი ახლო აკვირდებოდა გლეხთა ცხოვრებას, სოფლად გამეფებულ სიღატაკეს და სიბნელეს, არაადამიანურ კაბალას და მტაცებლურ ექსპლოატაციას, მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა მშრომელ ადამიანებთან. იგი ხედავდა, როგორ იჩაგრებოდნენ რუს მშრომელ მასებთან ერთად მრავალრიცხოვანი ხალხები—ჩუვაშები, მორდველები, თათრები და სხვები. მან ჯერ კიდევ ჭაბუკმა შეიძულა მშრომელი მასების ჩაგვრა, შეიძულა ნაციონალური ჩაგვრა.

ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე მთლიანად შესწირა კაპიტალის უღლისაგან, კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლებისაგან მუშათა და გლეხთა განთავისუფლების საქმეს, სოციალიზმის აგების საქმეს.

ლენინი სცოცხლობს სსრ კავშირის მშრომელთა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა გულსა და გონებაში. ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთათვის გაისმის როგორც მგზნებარე მოწოდება ულმობელი ბრძოლისაკენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ბრძოლისაკენ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, კომუნიზმისათვის.

ნაძვისხე სოკოლნიკში

ა. კონონოვი

ნახატი რ. სტურუასი

სოკოლნიკის საბავშვო ბაღში ნაძვისხეს როავდნენ.

საღამოსათვის ნაძვისხე მზად იყო.

ზედ ეკიდა დათვები, კურდღლები და სპილოები.

ოთახის ბაბუა ნაძვისხის კენწეროზე იჯდა.

ექვსანი ლენინს უცდიდნენ. გარეთ ქარბუქი ამოვარდა. ქარი სტვენდა, და არავის გაუგია, როგორ შეჩერდა სახლის წინ ავტომობილი.

მანქანიდან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გადმოვიდა.

ვლადიმერ ილიას-ძემ პალტო გაიხადა და დარბაზში ბავშვებისაკენ გაეშურა. ბავშვებმა უმალვე იცნეს ლენინი, მაგრამ შეჭიურებდნენ და ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინათ.

ვლადიმერ ილიას-ძემ იკითხა:

აბა, რომელმა თქვენგანმა იცის კატა-თაგვობანას თამაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ეველაზე უფროსმა გოგონამ ვერამ უპასუხა:

— მე!

— მეც! — წამოიძახა ბიჭუნამ ლიოშამ.

— ჰო და, სწორედ შენ იყავი კატა!—უთხრა ვლადიმერ ილიას-ძემ.

ბავშვებმა ნაძვისხის გარშემო ფერხული ჩაბეს.

თაგვად აირჩიეს პატარა კატია.

ლიოშა კატიას გამოუდგა, კატია კი ლენინს ჩაეჭიდა, ვლადიმერ ილიას-ძემ იგი ხელში აიყვანა:

— კატა თაგვს ვერ მისწვდება!

შემდეგ თაგვად ხენია იყო; ლიოშამ დაიჭირა იგი და თვითონ თაგვად გადაიქცა, ხენია კი—კატად.

დიდხანს ითამაშეს, და ეველას დასცხა.

მერე ეველანი ნაძვისხის გარშემო ერთად დარბოდნენ. პატარა კატია ვლადიმერ ილიას-ძესთან ხელჩაკიდებული დარბოდა.

ამ დროს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ და ვლადიმერ ილიას-ძის დამ, მარია ილიას ასულმა, ოთახში საჩუქრებით სავსე დიდი კალათი შეიტანეს.

ეს საჩუქრები ბავშვებს ლენინმა მოუტანა.

დიდი ლენინის ანდერძი...

დიდი ლენინის ანდერძი
ათიათას წელს გასწვდება,
დიდი სტალინის ნათქვამი
უმალვე საქმედ გასდება.

(რუსული ხალხური ანდაზა.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

ნახატი რ. სტურუასი

მეგობრები

გურამი სკოლიდან შინ რომ დაბრუნდა, გაოცდა. სასტუმრო ოთახში ვილაც ქერათმიანი ბიჭუნა სკამზე შემდგარიყო და სამხედრო ფორმაში გამოწყობილ კაცის სურათს კედელზე ჰკიდებდა. იქვე ანთებულ ნავთქურასთან ახალგაზრდა ქალი ფუსფუსებდა. ეტყობოდა ახალი ნამგზავრები იყვნენ. ქალმა გურამს გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და რუსულ ენაზე უთხრა:

— ეს, ჩემი შვილია, პავლე ჰქვია, სურათზე კი პავლეს მამაა. შენც ხომ გყავს მამა?

— ჩემი მამაც... — დაიწყო გურამმა, მაგრამ დაიბნა, საჭირო სიტყვები ვერ მოსძებნა, რომ პასუხი გაეცა. — ნეტავი რუსული ენა კარგად ვიცოდე, ვეტყოდი, რომ მამაჩემიც ფრონტზეა და მტერს ებრძვის! — ინატრა გურამმა, გაწითლდა, ოთახიდან გავიდა და სამზარეულოსაკენ გაიქცა.

— დედილო! ვინ არის ის ქალი? — ჰკითხა მან დედას.

— სმოლენსკიდან ჩამოვიდნენ შვილო, იქ ომია, დროებით ჩვენთან უნდა იცხოვრონ.

* * *

საღამო იყო. გურამი გაკვეთილს სწავლობდა. უცებ ფოთლების შრიალი მოესმა. ფანჯარასთან მიირბინა, ხეზე პავლე დაინახა და გაბრაზდა:

— უყურე ერთი ამას!.. ჩემს დაუკითხავად ასულა ხეზე, თითქოს მისი დარგული იყოს! გაიფიქრა მან, კიბე ჩაირბინა, ხესთან შედგა. რუსულად როგორ უთხრას ჩამოდიო?! ბევრი იფიქრა და შემდეგ ქართულად შეჰყვირა:

— შენ, ეი, ახლავე ძირს ჩამოდი!

პავლემ ცნობისმოყვარეობით ჩამოჰხედა გურამს. გურამის მოღუშული სახე რომ დაინახა, ჩამოსვლა დაიწყო.

გურამი სინდისმა შეაწუხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჭამოს, ყურძენი ბევრია. მეც მეყოფა და პავლესაც — გაიფიქრა მან და მაღლა აიხედა.

— ნუ ჩამოხვალ. ჭამე, — შესძახა ქართულად.

პავლემ იფიქრა: ალბათ მეჩხუბებაო. ჩამოსვლისას აჩქარდა, ფეხი დაუსხლტა და ძირს ჩამოვარდა. შემდეგ ძლივს წამოდგა და სახლში კოჭლობით შევიდა.

* * *

პავლე რუსულ სასწავლებელში მიაბარეს. ხის ჩეროში უყვარდა მეცადინეობა. გურამს თვალს თუ მოჰკრავდა უმალვე ოთახს მიაშურებდა და მერე აღარ გამოდიოდა.

გურამმა არ იცოდა დანაშაული რით გამოესყიდა. ხან ნამცხვარს ატარებდა ჯიბით, ხან ვაშლს. რომ პავლესათვის მიეცა, მაგრამ პავლე ყოველთვის გაურბოდა.

ერთხელ კალათა აავსო ყურძნით, სასტუმრო ოთახის კარებთან დადგა, კარზე მიაკაკუნა; თვითონ კი მიიმალა. პავლეს დედამ კარი გააღო, გაიხედ-გამოიხედა, ვერავინ დაინახა, კალათი ოთახში შეიტანა. შემდეგ გურამის დედას მადლობა გადაუხადა.

გურამს გაეხარდა.

ერთხელ გურამმა თვალი მოჰკრა შინისაკენ მიმავალ პავლეს და ფეხს აუჩქარა, პავლეს გაუსწორდა და ხმამაღლა უთხრა:

— გამარჯობა!

პავლემ თავი დაუქნია.

გურამმა ჩანთიდან ქალალდის ფურცელი სათუთად ამოიღო და უჩვენა.

პავლე შეჩერდა, ხუთიანებს თვალი გადაავლო, სამიანს თითი დაადო და ჰკითხა:

— რუსულში მიიღე.

— ჰო!

თავის ჩანთიდან პავლემაც ამოაცოცა ქალალდის ფურცელი და გურამს გაუწოდა.

გურამმა ხარბად გადახედა პავლეს ნიშნებს. ხუთიანები ჩამწკრივებულიყვნენ. იგი დაკვირვებით ათვალიერებდა ქალალდს. შემდეგ ამოიოხრა: — რუსული რომ კარგად ვიცოდე. მეც ხომ ხუთოსანი ვიქნები? — გაიფიქრა მან.

ისინი გზას ნელი ნაბიჯით გაუდგნენ. გურამს რატომღაც ცრემლი ებჯინებოდა ყელში.

— ქართული მასწავლე, — სთხოვა პავლემ.

— რუსულს მასწავლი?

— გასწავლი!

გურამს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.

* * *

გურამი და პავლე დამეგობრდნენ. ერთი წლის განმავლობაში გურამმა ისე შეისწავლა რუსული ენა, რომ აზრის გამოთქმა აღარ უძნელდებოდა. პავლემაც კარგად შეითვისა ქართული ენა.

სამამულო ომი რომ დამთავრდა, პავლე ისევ თავის მშობლიურ ქალაქში, სმოლენსკში დაბრუნდა. გურამი კი კვლავ ბათუმში ცხოვრობს, მაგრამ მათი მეგობრობა არ შეწყვეტილა. წერილებს ხშირად იღებენ ერთმანეთისაგან; პავლე ქართულად დაწერილ წერილს და რუსულ საბავშვო წიგნებს უგზავნის გურამს, გურამი კი რუსულად სწერს პასუხს პავლეს და მეგობრისათვის გასაგზავნად ქართულ წიგნებსაც შეარჩევს ხოლმე.

როსვომ ელანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთის ვენახი

იყო და არა იყო რა. ჩრდილოეთში ცხოვრობდა ერთი ლამაზი ჩიტი, შვიდი ფერის ფრთა-ბუმბულით შემოსილი, სიცოცხლის და სიხარულის მგალობელი.

მას ხილი ძალიან უყვარდა; როცა სამხრეთით ხილი დამწიფდებოდა, ესტუმრებოდა ხოლმე ბალ-ვენახებს, ირჩევდა გემრიელ ვაშლს, ატამს, მსხალს, უფრო მეტად ყურძენს შეექცეოდა, თანაც მღეროდა.

ერთხელ, თავისი პაწია ნისკარტით, ჩრდილოეთში ყურძნის მტევანი წაიღო. ყველა მარცვალს წიპწები ამოაცალა, ბუმბულში თბილად შეახვია და ბუდეში შეინახა.

გაზაფხულზე, ფეხებით და ნისკარტით მიწა მოხნა. წიპწები დათესა, მხრებითა და ბოლოთი დაფარცხა.

წიპწებში ვაზის ჩანასახებმა მალე გაიღვიძეს, ამოიწიეს, თავიდან მიწა გადაიყარეს. წამოიზარდნენ, მწვანე სამოსით შეიმოსნენ. ჩიტს უხაროდა, ნორჩ ვაზებს ევლებოდა და მღეროდა. სარეველა ბალახებს აცლიდა, ნიადაგს უფხვიერებდა.

გავიდა ხანი, ვაზები ამაღლდნენ, ბუჩქებზე, ხეებზე აცოცდნენ, ტოტებს შემოეხვივნენ.

ჩიტი მოუთმენლად ელოდა ნაყოფის გაჩენას. მეოთხე წელს აუსრულდა ნატვრა: ვაზებმა მტევნები მოისხეს, მალე მარცვლებიც გამოინასკვნენ.

დადგა შემოდგომა, მაგრამ სიხარულის მომღერალი გულნატკენი დარჩა. მისმა ვაზებმა წვრილი, მჟავე მარცვლები მოისხეს და ველარ დამწიფდნენ. დაღონდა მომღერალი ფრთოსანი, შესწყვიტა სიმღერა.

იმისი გაჩუმება ყველას გაუკვირდა, ტკბილი გალობა მოენატრათ. ჩიტს კი სიმღერა აღარ აგონდებოდა. მუდამ იმის ფიქრში იყო, ვაზებისთვის როგორ ეშველა.

ვისაც კი შეხვდებოდა, თავის დარდს შესჩიოდა. ერთხელ გნოლმა უთხრა:—ეგ ჩემო კეთილო, ყინვის ბრალია. ყინვას—ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი და სხვა ხილი ძალიან ეჯავრება—ჩრდილოეთში არ ახარებს. მაგრამ, ამას წინათ ჩრდილოეთში ვნახე ვაშლის ბაღი, ისეთი ლოყაწითელი ვაშლები ესხა, რომ გაკვირვებული დავრჩი. წადი, ის ბაღი ნახე და ჰკითხე, თუ როგორ დაამარცხა ვაშლმა ყინვა.

ფრთაბუმბულას გაუხარდა, გნოლს მადლობა გადაუხადა, გაშალა ფრთები და გაფრინდა ბაღის საძებნელად. იფრინა, იფრინა და მალე ის ბაღი იპოვა. ლოყაწითელ ვაშლებს რომ შეხედა, დარდი გადაავიწყდა; ამღერდა და ვაშლებს სიმღერით ჰკითხა:—აქ როგორ მოსულხართ, ყინვისა არ გეშინიათო?!. ვაშლებს გაეცინათ და უპასუხეს:

— არა, ჩვენ ისეთი კაცის ხელში ვართ დაბადებული და აღზრდილები, რომ ყინვა ველარაფერს გვაკლებს.

როცა ვაშლებმა ჩიტის მოსვლის მიზეზი გაიგეს, ურჩიეს: წადი, ესა და ეს ველები გადაიფრინე, იქ შეხვდები ისეთ ბაღს, რომლის ბადალი დე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამიწაზე არ მოიძებნება. იმ ბაღში შენებურად ამღერდი; გამოვა ის კაცი, ვინც ჩვენ გაგვზარდა, იმას უამბე და დაგეხმარებაო.

ფრთაბუმბულა მომღერალი იქით გაფრინდა.

სამი დღედაღამე იფრინა, მეოთხე დღეს მართლაც მიადგა იმ საკვირველ ბაღს. თვალი რომ გადაავლო, გაოცდა, რა ხილი გინდათ რომ იქ არ ნახა. ამღერდა, ისე ამღერდა რომ იმის ტკბილ ხმაზე წყლიდან თევზებიც კი ამოვიდნენ.

უცხო ფრინველის გალობაზე მებაღე გამოვიდა.

ჩიტს მოსვლის მიზეზი ჰკითხა და როცა გაიგო, ასე უთხრა: ის ვაზები ფრთხილად მოთხარეთ, არ მოაკლდეს არც ფესვი, არც ღერო, რბილად შეახვიეთ ბუმბულში და მომიტანეთო.

ჩიტი ახლა უფრო დაღონდა — მე ამას როგორ შევასრულებო — ფიქრობდა. მაგრამ რაღას იზამდა სახლისაკენ გაფრინდა. შინ რომ მივიდა, მოკეთეებს გაუზიარა დარდი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაეხმარნენ. სიასამურს მარხილი გააკეთებინეს, კურდღელს ვაზები ამოათხრევინეს, ფრინველებს ბუმბული გამოართვეს, გაახვიეს ვაზები, მარხილზე დააწყეს, შეაბეს ჩრდილოეთის თეთრი ირმები და გამოისტუმრეს.

მეცხრე დღეს მოიტანა ჩიტმა ვაზები. ირმები გაათავისუფლა, მარხილი იქვე დატოვა. თვითონ სიხარულის სიმღერა შემოსძახა და სახლისაკენ გაფრინდა.

მებაღემ მომღერალი ჩიტისა და ჩრდილოეთის ყველა მცხოვრების სურვილი შეასრულა. ჩიტის მოტანილი ვაზები ისე გადააკეთა, აღზარდა, რომ გამძლეობითა და ნაყოფით ბევრ სამხრეთის ვაზსა სჯობდა, ყინვამ ვეღარ შეაშინა, და ახლა იმისაგან ჩრდილოეთში ვენახებს აშენებენ.

შვიდფერის ფრთაბუმბულით შემოსილი ჩიტიც იმ ვენახებში ბუდობს, ვაზებს ზამთარ-ზაფხულ თავს ევლება და სიცოცხლეს და სიხარულს უგალობს.

ნახატი პ. დათუაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინეს მოხერხება

სკოლაში წასასვლელად ემზადება მარინე.

მამამ ახალი ფეხსაცმელები უყიდა, სწორედ ისეთი, როგორიც მარინეს ენატრებოდა: ეკითელი ტყავის, ორი ღილით შესაკრავი!

დედამ მკერავი ქალი მოიწვია მარინეს კაბის და წინსაფრის შესაკერად.

ხვალ მარინე ნამდვილი მოსწავლე იქნება! ეკვისფერ კაბას ჩაიცვამს, წინსაფარს გაიკეთებს და ჩანთით ხელში სკოლაში წაცუნცულდება.

მარინე მოუსვენრად ტიტინებდა და ხან მაკრატელს წაავლებდა ხელს, ხან საკერავ მანქანას ატრიალებდა. დედამ შენიშნა:

— მარინე, თუ გინდა რომ ხვალისათვის ახალი კაბა მოგესწროს, ხელს ნუ გვიშლი!

მარინე უცბად შეტრიალდა და ქინძისთავებით სავსე ყუთი მირს მოაბნია.

— ახია შენზე! — ნიშნის მოგებით უთხრა დედამ. ახლა დაბრძანდი და იატაკიდან სულ სათითაოდ აკრიფე!

მარინემ დაფიქრებით მოისმინა დედის წყრომა, მერე სწრაფად შეირბინა თავის ოთახში, სათამაშოებიდან დიდი მაგნიტი გამოარჩია, იატაკზე დაიხარა და მიმობნეულ ქინძისთავებს მიუახლოვა.

ქინძისთავები დაპატიჟებულებივით ერთმანეთს ასწრებდნენ და ზოგი თავით, ზოგი წვერით, ზოგი მთელი თავისი სიგრძით ეკრობოდა მაგნიტს.

— შეხედე, შეხედე, როგორ უხარიათ ქინძისთავებს... თვითონ გამორბიან ჩემსკენ, ხომ აღარ ჯავრობ, დედიკო? — ამბობდა კასარებული მარინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაფიელ ერისთავი

ნახატი გ. ჩირინაშვილისა

ზამთარი

ვხედავ, ვხედავ, დაგვიზამთრდა, მომაგონდა მე საქთარი,
მომაგონდა ბაწიობა, მომაგონდა მე სახლ-კარი;
მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ, მიხარობდა თოვლის მოსვლა,
თოვლის გუნდის გაკეთება, სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა.
შვილდისარით შაშვსა ვდევდით, ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა,
ლასტს ვუკეთებდით ბელურებსა, ვერ გვხედავდნენ მუხანათსა.
შეეებმოდი მე ციგაში და ზედ მიჯდა გოგიელა,
გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა!
ბიჭები თავს მოვიურიდით,—ვსტოდით, ვჭიდაობდით ყველა,
ხან ერთი ძირს, ხან მეორე,—ჭერი, ბიჭო, კოტრიელა!
დაღალულნი, გათოშილნი შევიდოდით ღამე შინა,
მაგრამ ეინვამ და სიცივემ ვერც ერთი ვერ შეგვაშინა...
მეორე დღეს ეინულზედა ვცურაობდით ნელა-ნელა...
უკან კოპი, შუბლზე კოპი, კოტრიელა, კოტრიელა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

ნახატი ან. კანდელაკისა

ციცუნია და კალია

პატარა ციცუნია კარგად თამაშობდა ეზოში ძველ, გადაგდებულ კალათაზე და საიდანღაც ეს პატარა მწვანე მხეცუნა კი გამოხტა.

— თაგვი არ არის, ნეტავი რა მხეცია, დავიჭირო, თუ გავიქცე, იქნებ საშიშია?! ფიქრობდა ციცუნია.

შეშინებული მწვანე მახეხუნა-კალია კი შიშით კანკალებდა.

— უჰ, რა საშინელი მხეცია! რომ დამიჭიროს რაღა ვქნა. ხტომა კარგი ვიცი და გადავხტე თუ თავი მოვიმკვდარუნო? ფიქრობდა იგი.

— არა, სჯობია გავიპარო, — იფიქრა ციცუნიამ, — არ მიკბინოს, ვინ იცის იქნებ შხამიანიც არის. სჯობია დროზე ვუშველო თავს და გავეცალო.

ციცუნია ჩუმად ჩამოცოცდა კალათიდან.

— ვაი, ვაი, როგორ მობაჯბაჯებს, უთუოდ უნდა მომეპაროს და გადამყლაპოს. ფრინველები მკვდარ მწერებს არ ჭამენ, მაგრამ ეს კი, ვინ იცის მკვდარსა და ცოცხალს არ არჩევს. არა, სჯობია გადავხტე, იქნებ ვერ დამეწიოს. — გაიფიქრა კალიამ, ისკუპა და შორს გადახტა.

ციცუნიაც გულგახეთქილი შინისაკენ გარბოდა.

ნახატი გ. ჩირინაშვილისა

ხ უ რ ო

კაკ-კუკ!.. კაკ-კუკ!..
მე ვარ ხურო,
სახლს ვაშენებ,
კი არ ვხუმრობ!
ჰა, კედლები ავიყვანე,
ახლა უნდა გადავხურო!
კარგად ვიცი ფიცრის გათლა,
რანდვა, ხერხვა, შალაშინი.
ვინც ხელობა შეისწავლა,
შრომა არის მისთვის ღხინი.
ჰო და, აი, მე ვარ ხურო!
სახლს ვაშენებ კი არ ვხუმრობ!
კაკ-კუკ! კაკ-კუკ! კედლებს მოვრჩი,
ახლა უნდა გადავხურო!

ილია სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იჩქარიან მალხაზები

თოვს და ბარდნის, თოვს და ბარდნის,
აუვსია ნამქერს გზები,
ამ თოვაში სკოლისაკენ
იჩქარიან მალხაზები.
ნუკრებივით წინ მიხტიან,
ხან ერთმანეთს ხვევენ მკლავებს,
და ჟივჟივით ბელურები
დასტქერიან მათ ნაკვალევს.
აგერ სკოლას მიადწიეს,
გაუცინეს სარკმლის მინებს,
სიხარულით, სიყვარულით
მკვირცხლად კიბე აირბინეს.
წინ შემოხვდათ მეგობრები,
მიაგებეს თოვლის გუნდა.
ბელურები აჟივჟივდნენ:
— გაიხარეთ, ასე უნდა!
უცებ კარებს მიაშურეს
მალხაზებმა ჟრიამულით,
— მოდით, გათბით! — მიეგებათ
აქ ბუხარი მხიარული.
მალხაზებიც მიეხვევნენ,
შეჰხარიან ცეცხლის ბრიალს,
და სარკმლიდან ბედნიერებს
ბელურები შენატრიან.

გიორგი კაჭახიძე

ნახატი **შალვა ცხადაძისა**

გივი ვარლოსანიძე

ნახატი ი. სუხიშვილისა

ზღაპარი

მზე უკვე ამოსულიყო.

ქოჩორა ტყეში საამური სურნელება იდგა. ფოთლებზე პაწაწინა საყურეებივით ციმციმებდა ცვარი.

გულთეთრამ შეიფრთხიალა, დაიჭიკჭიკა, ახალგაღვიძებულ შვილებს მიუალერსა.

უხაროდა დედაჩიტს: ბარტყები წამოიჩიტნენ, შიშველი სხეული შეემოსათ, პაწია შავი ბრჭყალები გაუმაგრდათ და უკვე დაფრთიანდნენ.

ბარტყები თანდათან გათამამდნენ. კარგები იყვნენ, მაგრამ ერთი ცუდი ზნე კი სჭირდათ: დედას არაფერს უჯერებდნენ და სულ ეშმაკობისკენ ეჭირვათ თვალი.

დღესაც. გაილვიძეს თუ არა. ბუდიდან ჟივილ-ხივილით წამოიშალნენ. მართალია ამინდს ცუდი პირი უჩანდა, მაგრამ მაინც სასერნოდ წასვლა არჩევეს.

გულთეთრამ ნისკარტში ბუმბულის ლოგინი შეასწორა. შვილებს ქოჩორი დავარცხნა და ურჩია დღეს შინ დარჩენილიყვნენ, რადგან ცა თანდათან იღრუბლებოდა.

არ დაუჯერეს დედას ბარტყებმა. ბუდე მიატოვეს და ტყის შუაგულს მიაშურეს.

მათმა ჯიუტობამ გულთეთრას გული დასწყვიტა, მაგრამ შვილებს საწყენი არა უთხრა რა. ბუდეს ჭიკჭიკით შემოუფრინა და ბარტყებს სასეირნოდ გაუძღვა.

სხვა რა გზა ჰქონდა გულთეთრას?! გამოუცდელებს მარტო ხომ არ გაუშვებდა ტყეში!

ბევრი ახალი და კარგი ნახეს ბარტყებმა. ყველაზე მეტად კი ნაცარა და ყურებდაცქვეტილი ბაჭიები მოეწონათ.

ბარტყები შინ დაბრუნებაზე აღარც კი ფიქრობდნენ. გულთეთრაც შვილების ნებას დაჰყვა და მათთან ერთად მთელი დღე ტყეში გაატარა.

ბოლოს ის იყო შინისაკენ გამობრუნდნენ, რომ უცებ ცამ დაიქუხა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

შეშინებულმა დედამ შვილები ფრთებქვეშ შეიფარა.

ბარტყები ტიროდნენ და კანკალებდნენ. ქუხილზე თვალებს ხუჭავდნენ და დედას ეკვროდნენ.

წვიმდა და წვიმდა. ქარი ზუზუნებდა, ცა გრგვინავდა.

ღამდებოდა... ტყეში დარჩენა აღარ შეიძლებოდა.

გულთეთრამ დასველებული ფრთები შეიბერტყა. ბარტყები გაამხნევა, დაარიგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის ყველაზე უღონო მხარზე შეისვა და ბუდისაკენ გაფრინდა.

ოთხი ბარტყი რიგრიგობით მიიყვანა გულთეთრამ ბუდეში. აი, ახლა მეხუთეს მიაფრენს. წვიმა სახეში სცემს გულთეთრას, ელვა თვალებს სჭრის, ფრთები დაექანცა, სხეული დაუმძიმდა, აი, მიაღწია კიდეც ბუდეს. მეხუთე შვილი ფრთხილად ჩაუშვა და-ძმებს შორის.

აჟივჟივდნენ ბარტყები.

ეს ჟივილი უკანასკნელად გაიგონა დედა-ჩიტმა. დაღლილობისაგან უცებ გული შეუღონდა, მიწაზე ქვასავით ჩამოვარდა და მოკვდა.

ბევრი იტირეს უდედოდ დარჩენილმა ბარტყებმა, მაგრამ აბა რაღას გახდებოდნენ?! აქეთ-იქით უგზოუკვლოდ გაიფანტნენ.

დედაჩიტის გულზე ყვავილი ამოვიდა. მას გულთეთრა უწოდეს, ზოგან ჩიტ-ყვავილასაც ეძახიან, მეც მინახავს ეს ყვავილი, იგი ბლომად არის მთიან ადგილებში, — ძალიან ლამაზია და ერთი შეხედვით მართლაც ჩიტს მოგაგონებთ.

რუსული ხალხური ანდაზები

1. ხელობა ჭამა-სმას არა გთხოვს და თვითონ გარჩენსო.
2. უხელობოდ — კაცი უხელოაო.
3. ცოდნა ძალააო.
4. განმეორება ცოდნის დედააო.
5. ერთი დღით ადრე დათესავ — მთელი კვირით ადრე მოიმკიო.
6. ზაფხულის ერთი შრომადღე მთელი წლის სარჩოაო.
7. მარტოხელა გლეხი დაკონკილი დადიოდა, — კოლექტივში შევიდა და ახალუხით შეიმოსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების კარი

ფერადი თოვლი

„თოვლივით თეთრიაო,“—ვამბობთ ხოლმე თეთრი საგნების შესახებ, მაგრამ მხოლოდ თეთრი როდი არის თოვლი.

არქტიკაში ნამყოფი საბჭოთა მოგზაურები გვიამბობენ; მათ აკვირვებდათ დათოვლილ ველებზე მწვანე მიდამოს გამოჩენა.

როგორ უნდა აღმოცენებულიყო სუსხიანი არქტიკის ყინულოვან მინდვრებში ბალახი?! მიუახლოვდებოდნენ გაკვირვებული მოგზაურები მოლისფერ ნაკვეთებს და... მათ წინ, ბალახი კი არა, მწვანე თოვლი იდო.

გარდა მწვანე თოვლისა, დედამიწის სხვა კუთხეებში მოგზაურები სისხლივით წითელ თოვლს ხვდებიან.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ასეთ ფერად თოვლს, ერთიანიცქნა, თვალით დაუნახავი არსებები აძლევენ ფეროვნებას. ამ თვალით შეუმჩნეველ არსებებს სრულიადაც არ ეშინიათ სიცივისა, და თოვლში მილიონობით სახლდებიან.

კ. ვარდოშვილი

ბროწეული

ჩემო პატარა მეგობრებო! ხომ გემრიელად შეექცევით ხოლმე ჩემს წითელ მარცვლებს? გინდათ ჩემი ვინაობა გიამბოთ? მაშ ყური დამიგდეთ!

პატარა კი არ გეგონოთ, რამდენიმე მეტრის სიმაღლისა ვიზრდები და ხშირად ცოცხალ ლობედაც მიყენებენ. იცით როგორია ცოცხალი ლობე? ლობის ნაცვლად ჩემს ბუჩქებს ბაღების, ვენახების და ყანის ირგვლივ დარგავენ, მეც არხეინად ვიზრდები და ნათესებს ვიცავ ქარისაგან და ცხოველებისაგან. თუ ვინმე ბაღში გადაძრომას მოინდომებს, ასეთ დაუპატიჟებელ სტუმარს წვეტიანი ეკლებით ვუმასპინძლდები.

ჩემი ლამაზი, წითელი ყვავილებით ბევრჯერ გითამაშიათ, ვიცი, რომ ჩემს ყვავილს ჩხირს გაუყრით და ბაბუას ყალიონივით ხელში დაიჭერთ ხოლმე.

კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და ძლიერ სასარგებლო ხილი ვარ. ჩემს გემრიელ წვენში ჩაწყობილი ქათამი ხომ მადიანად მიგირთმევიათ? თქვენ არც კი იცით, ჩემით რამდენი რამ დაგიწერიათ. დიახ, ჩემი ქერქისაგან მელანს აკეთებენ, აგრეთვე ამზადებენ ჭრილობების შემახორცებელ ნივთიერებას, რომელ საც „ბროწეულინი“ ეწოდება. გამოსადეგი ვარ სხვადასხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ.

კიდევ ბევრი რამის თქმა შემეძლო, მაგრამ რა ვქნა, მერიდება საკუთარ თავზე ლაპარაკი.

გ. მინდაძე

ერთ შტოზე

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის პირას, აჭარაში, სამეგრელოში და აფხაზეთში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავლად გაშენდა: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, კარალიოკი, ხურმა და მრავალი ისეთი ძვირფასი ხილი, რომელიც მხოლოდ სამხრეთის ქვეყნებში ხარობს.

ყველას უყვარს ჩამოთვლილი ხილი; ზოგ თქვენგანს თავისი თვალით უნახავს მსხმოიარე ხეხილი და საკუთარი ხელითაც მოუკრეფია, მაგრამ, აბა, თუ გინახავთ ერთ შტოზე, ერთმანეთის მხარდამხარ, მრგვალი კარალიოკი (ჰიაკუმი) და კვერცხივით მოგრძო, ალისფერი ხურმა!

საქართველოში ძველთაგან ყოფილა გავრცელებული ხეხილის მყნობა. ქართველმა კოლმეურნეებმა კარგად იციან შინაური ხეხილის: ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ბლის და ვაზის მყნობა: ახლა ნარინჯის მყნობაც შეისწავლეს და საოცარ ხეხილს ნახავთ: მიბრძანდებით ბაღში, დაიწევთ ხურმის ტოტს, და მიირთმევთ რომელიც გესიამოვნებათ, — ერთ შტოზე ხურმაც ასხია და კარალიოკიც.

ლ. სილოვანიძე

ხალხური გამოცანები

1. ზამთრით მოვალ, ზამთრით მივალ,
ვინ გინახავთ ჩემისთანა?!
შარშან ამ დროს ახალგაზრდა,
დღეს — უძლური ბებრუხანა.

2. გაუკერავი პარკი:
შიგ — გაუცრელი ფქვილი,
შიგ — გაუთლელი ჩხირი, —
იცან პატარა ხილი!

შეკრებილი **ან. ახალშენიშვილის** მიერ.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1. წვერიცქნა და კუდბზიკინა,
კუნტრუშა და ხმაკიკინა.

2. „ჯრიხი, ჯრიხის“ გაიძახის,
არის ხე და რკინა,
დალესილი კბილები აქვს
ჩარაზმული წინა.

3. სიცივეში მაგარია,
სითბოში ტაბად დამდგარია.

ალ. ხაჩინოელი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ДИПА ... БИБЛИОТЕКОВЕДЕНИЯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1475

ნაცარას თავგადასავალი

ლექსი კ. გოგიაშვილისა — ნახატი ან. კანდელაკისა

ში ცხოვრობდა , ლად ერქვა ნაცარა,

უყვარდა ხტუნვა, ნა , დმოკლეს, ყურებცანცარას.

ბოსტანში, , არ შეგვარჩინა, გაგვცალა;

მხალი, , , შინისკენ წააცანცალა.

ერთ ლ მას ეწვ , უთხრა:–ინანებ ცანგალავ,

ნუ ქურდობ, ჩქი, , თქვი: ცოტა არის აქ განა?–

მაგრამ ყურცქვიტამ მ ბელს სიტყვის თქმა როდი აცალა,

ზღარბს უპასუხა:–ვინ გკ ვს, ეკლებ ნო ბანცალავ!–

თქვა და ფეხ გასწ , ცქვიტა ცანცალამ.



თურმე ს პატრონი სთან ლოდინმა დაღალა,

ხელში ეჭირა და ც იქ ედგა პატარა;

თვეზე შემართა , წუწკს მეტი აღარ აცალა,



გამოჰკრა, ი , მჭექარე დაცალა.

...დაეცა, დახუჭა, მივარდა ბასარა,

აუხდა ს ნათქვამი ან ნაცარას.

პირველი გვერდის მხატვრობა — ტ. სუხიშვილისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რ. მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ. 3-81-85
გამომცემლობის შეკვ. № 1 სტამბის შეკვ. № 1733/110 ტირაჟი 7000 უე 00924 ფასი 5 მან.

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42